

ტრომიქსი პერორალურად მისაღები ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: სისტემური გამოყენების ანტიმიკრობული, ანტიბაქტერიული

აღწერა: ერთგვაროვანი, ღია მოყვითალოდან -ყვითლამდე ფერის ფხვნილი.

სამიზნე სახეობა: მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი, ღორი, ბოცვერი, ფრინველი

შემადგენლობა:

1გ ფხვნილი შეიცავს: სულფადიმიდინ სოდიუმს 200მგ, ტრიმეტოპრიმს 40მგ, ტეტრაციკლინს (ჰიდროქლორიდს) 110მგ. დამხმარე ნივთიერებები: ბრომჰექსინის ჰიდროქლორიდი, ნატრიუმის ციკლამატი, ნატრიუმის ციტრატი, საქარინი, კოლოიდური უწყლო სილიციუმი, ნატრიუმის ქლორიდი, ლაქტოზა, peculiaroma 1226-Z

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ტრომიქსი წარმოადგენს ფართო სპექტრის გახანგრძლივებული მოქმედების, ანტიბაქტერიულ საშუალებას. რომლის ფარმაკოლოგიური თვისებები განპირობებულია მის შემადგენლობაში შემავალი კომპონენტების ანტიმიკრობული მოქმედებით. პრეპარატის კომბინაციას გამოხატული აქვს სინერგიული ეფექტი და ახასიათებს ბაქტერიოსტატიკური მოქმედება უმრავლესობა გრამდადებითი და გრამუარყოფითი ბაქტერიების:

Escherichia coli, *Clostridium* spp., *Salmonella* spp., *Proteus mirabilis*, *Proteus* spp., *Pasteurella* spp., *Staphylococcus* spp., *Streptococcus* spp., *Enterococcus* spp., *Klebsiella* spp., *Bordetella* spp., *Neisseria* spp. მიმართ.

ანტიბიოტიკებისა და სულფანილამიდების კომბინაცია ძალიან ეფექტურია პათოგენური მიკროორგანიზმებისადმი, რაც ბაქტერიულ უჯრედში ტეტრაჰიდროფილური მჟავის სინთეზის ინჰიბირების გზით მიიღწევა. ტეტრაციკლინი არღვევს მავნე ბაქტერიების ცილოვან ბიოსინთეზს რიბოსომების დონეზე.

პრეპარატი კარგად შეიწოვება საჭმლის მომნელებელი ტრაქტიდან: პრეპარატის მიღებიდან 1-2 სთ-ის შემდეგ აღწევს სისხლში და ნარჩუნდება 12 სთ-ის განმავლობაში. მაქსიმალური კონცენტრაცია სისხლში მიიღწევა პრეპარატის

მიღებიდან 8 სთ-ის შემდეგ, პრეპარატი ძირითადად გამოიყოფა შარდთან ერთად და ნაწილობრივ ფეკალთან ერთად.

ტრომიქსი ორგანიზმზე ზემოქმედების მიხედვით მიეკუთვნება ნაკლებად საშიშ ნივთიერებების მე-4 კლასს.

პრეპარატი ეფექტურად მოქმედებს სულფადიმიდინის, ტრიმეტოპრიმის, ტეტრაციკლინის ჰიდროქლორიდის მიმართ მგრძობიარე მიკროორგანიზმებით გამოწვეული ინფექციების წინააღმდეგ, როგორცაა სასუნთქი გზების, საჭმლის მომნელებელი ტრაქტის, შარდსასქესო სისტემისა და მეორეული ბაქტერიული ინფექციები. რეკომენდებული დოზებით კარგად გადაიტანება ინსტრუქციაში აღნიშნული ცხოველებისა და ფრინველის მიერ.

გამოყენების ჩვენებები: ტრომიქსის ფხვნილი გამოიყენება მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორების, შინაური ფრინველისა და ბოცვრების ბაქტერიული წარმოშობის ინფექციური დაავადების სამკურნალოდ.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის: პასტერელოზის, რესპირატორული სისტემის დაავადებების (პნევმოვია, ბრონქიტი), ენტერიტის;

წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის (ცხვარი, თხა): დიზენტერიის, პნევმონიის, ნეკროზული

პოდოდერმატიტის;

ღორის: პნევმონიის, გასტროენტერიტიის, სეპტიცემიის;

ფრინველის: ენტერიტის (კოლიბაქტერიული ენტერიტი), გართულებული ქრონიკული

რესპირატორული დაავადებების, რინიტის;

ბოცვრის: რინიტის, პასტერელოზის, ენტერიტის (კოლიბაქტერიული ენტერიტი) დროს

გამოყენების წესი და დოზები

გამოიყენება პერორალურად, წყალთან და საკვებთან ერთად, 3-4 დღის განმავლობაში.

მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსან პირუტყვს, ღორს: პირველი დღე - 3გ/30კგ ც.წ-ზე,

მომდევნო დღეებში: 2გ/30კგ ც.წ-ზე. 1 კგ პრეპარატი 2000ლ წყალში განზავებით ან 1000 კგ საკვებში შერევით.

ფრინველს, ბოცვერს პირველი დღე - 2გ/ლ წყალში განზავებით, მე-2 - მე-3 დღეს: 1გ/ლ წყალთან ერთად.

თუ სიმპტომები შენარჩუნებულია გაიმეორეთ მკურნალობის კურსი 3-4 დღის შემდეგ.

ახალშობილებისთვის გამოიყენება ზრდასრული ცხოველებისთვის განსაზღვრული დოზის ნახევარი. განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში პირველ ორ დღეს სადღეღამისო დოზა შეიძლება გაორმაგდეს.

უკუჩვენებები

პრეპარატის შემადგენლობაში შემავალ რომელიმე კომპონენტზე მომატებული მგრძობელობა.

გვერდითი მოვლენები

ცხოველებს, რომელთაც აქვთ თირკმლის უკმარისობა, შეიძლება განუვითარდეს წყლის შეკავება ორგანიზმში შემდგომი შეშუპებით.

ჭარბი დოზირება

დოზის გადაჭარბებით მიღებამ თირკმლის უკმარისობის მქონე ცხოველებში შეიძლება გამოიწვიოს წყლის შეკავება. შედეგად შეშუპება ქრება შეშუპების საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენების შემდეგ.

დაყოვნების პერიოდი

ხორცი: ფრინველი - 5 დღე; მრპ, წრპ, ღორი, ბოცვერი - 5 დღე.

გამოშვების ფორმა: 50 გ პოლიეთილენის პაკეტში.

შენახვის პირობები

პრეპარატი ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას +5-დან +25°C-მდე ტემპერატურაზე.

ვარგისობის ვადა: 3 წელი

მწარმოებელი : შპს "ბიოტეკსი", საქართველო

